

ძალადობა განცდილი და ძალადობა განუცდელი ბავშვების
თვითშეფასება და მასთან დაკავშირებული ქცევითი და ემოციური
დარღვევები

თეონა ჩიტიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ასოცირებული
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016 წელი

აბსტრაქტი

ბავშვთა მიმართ ძალადობა გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. ამ ფენომენს მასშტაბური ხასიათი აქვს და დღეს იგი ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართულნი, ამ საკითხის კვლევასა და ინტერვენციული სამუშაოების დაგეგმვაში. საქართველო ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელშიც ეს პრობლემა აშკარად დგას და რეაგირებას მოითხოვს.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია შევისწავლოთ რამდენად მნიშვნელოვნად აისახება ძალადობა თვითშეფასებაზე და ქცევით და ემოციურ დარღვევებზე. ძალადობა განცდილ ბავშვებში, მათი გამოცდილებისა და გადატანილი სტრესის გამო, განსხვავებული ემოციური და ქცევითი მდგომარეობაა, ვიდრე ძალადობა განუცდელ ბავშვებში. დავსახეთ შემდეგი ამოცანები: 1) თვითშეფასების შედარება პროექციული მეთოდით „ხე“ ძალადობა განცდილ და ძალადობა განუცდელ ბავშვებში. 2) ქცევითი და ემოციური დარღვევების შედარება ძალადობა განცდილ და ძალადობა განუცდელ ბავშვებში. საკითხის შესასწავლად გამოვიყენეთ კომპლექსური მიდგომა, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა რაოდენობრივი კვლევის მონაცემებით, CBCL-ის კითხვარის შკალების მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში, ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო სხვაობა გამოვლინდა. პროექციული მეთოდის შედეგების საფუძველზე გამოვლინდა ტენდენცია, რომ ძალადობა განცდილი ბავშვები „რეალური მე“-ს არჩევის დროს ასახელებენ პოზიციას - „დაბრკოლების გადალახვის განწყობა“, ხოლო „იდეალური მე“-ს არჩევისას ასახელებენ - „კომფორტულ მდგომარეობას“. რაც შეეხება ძალადობა განუცდელ ბავშვებს მათ „რეალური მე“-ს არჩევის დროს გამოავლინეს ტენდენცია პოზიციის - „კომუნიკაბელურობა, მეგობრული მხარდაჭერა“, ხოლო „იდეალური მე“-ს არჩევისას ყველაზე ხშირად ასახელებენ პოზიციას - „მომატებული თვითშეფასება, ლიდერული დაყენებები“.